სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2019 წლის 13 თებერვალი

ქ. სიღნაღი

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №3 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 02/02/2017; 010250050.35.168.016201) დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

„1. საბჭო შედგება არანაკლებ 11 წევრისაგან.“.

2. **მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

„5. საბჭოს შემადგენლობაში შედის აღმასრულებელი მდივანი, რომელსაც საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი.“.

3. **მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

„6. საბჭოს შემადგენლობაში თავმჯდომარისა და მოადგილის გარდა შედიან:

ა) სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენელი;

გ) სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი;

დ) სხვა პირი (შშმ პირი, შშმ პირის მშობელი, სპეციალისტი, ან სხვ.)“.

4. **მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

„7. საბჭოს ჰყავს მდივანი.“

5. **მე-10 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

„ე) პირადი განცხადება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ხატიაშვილი**